საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/51 "17" ივნისი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ნ. ბარბაქაძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 და 4[1] პუნქტების საფუძველზე და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანდართული დასაბუთების შესაბამისად, ნათია ბარბაქაძე 2021 წლის 18 ივნისიდან გამწესდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

ნინო ქადაგიძე
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

ნათია ბარბაქაძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2021 წლის 22 თებერვლის №1/6 გადაწყვეტილებით გამოცხადდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი საერთო სასამართლოების სისტემაში არსებულ ვაკანსიებზე. მათ შორის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლის 4 ვაკანტურ თანამდებობაზე.

კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა 2021 წლის 23 თებერვლიდან 9 მარტის ჩათვლით. მითითებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 16 კანდიდატი.

მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის მიერ კონკურსში მონაწილე კანდიდატებზე, მათ შორის ნათია ბარბაქაძეზე მოძიებულ იქნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[2] მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს წარედგინათ 2021 წლის 29 მარტს.

<u>კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია:</u>

ნათია ბარბაქაძეს აქვს სპეციალობით მუშაობის 14 წლისა და 5 თვის, მათ შორის მოსამართლედ მუშაობის 8 წლისა და 5 თვის გამოცდილება. იგი საერთო სასამართლოების მოსამართლეა 2012 წლის 16 ოქტომბრიდან. ნათია ბარბაქაძე იყო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, ამჟამად კი იგი არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე.

ნათია ბარბაქაძეს აქვს საქმეთა განხილვის კარგი მაჩვენებელი როგორც პროდუქტიულობის, ისე სტაბილურობის კუთხით. მოღვაწეობის ბოლო 3-წლიან პერიოდში დასრულებული აქვს 283 საქმე (საშუალოდ დღეში 0,4 საქმე), ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილებებიდან უცვლელი დარჩა საქმეთა 97,2%. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნათია ბარბაქაძის მიერ საქმეთა განხილვისას საპროცესო ვადების დაცვის მაჩვენებელი, კერძოდ, მას საქმეთა 100% განხილული აქვს საპროცესო ვადების დაცვით.

მოსამართლედ მუშაობის პერიოდში მის მიმართ არ დაწყებულა დისციპლინური დევნა, არ ყოფილა გამოყენებული დისციპლინური სახდელი ან დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება.

ნათია ბარბაქაძე კითხულობს ლექციათა კურსს კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში, თემაზე - სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის პრობლემები. არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა საბჭოს წევრი. ტრენინგების - ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის, ასევე კიბერდანაშაულთა საქმეების ეფექტური განხილვის თანატრენერი. 2020 წელს გამოქვეყნებული აქვს სტატია თემაზე - სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებების გამოკვლევის თავისებურებები (პროფესორ ირინა აქუბარდიას საიუბილეო კრებული).

<u>კანდიდატთან გასაუბრება:</u>

საბჭოს წევრების მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ დაინიშნა კანდიდატებთან გასაუბრება. საბჭოს წევრები კანდიდატ ნათია ბარბაქაძეს

გაესაუბრნენ 18 მაისს. გასაუბრება წარიმართა ღია სხდომაზე და მას ესწრებოდა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

<u>კანდიდატის შეფასება:</u>

2021 წლის 7 ივნისიდან 11 ივნისამდე პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 12-მა წევრმა კანდიდატი ნათია ბარბაქაძე შეაფასა კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების მიხედვით.

ნათია ბარბაქაძის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას, საბჭოს შემფასებელმა 11-მა წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს, ხოლო ერთმა წევრმა მიიჩნია, რომ აკმაყოფილებს.

საბჭოს წევრთა მიერ ნათია ბარბაქაძის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ამ კრიტერიუმების მახასიათებლების მიხედვით კანდიდატის მიერ მოპოვებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 1026 ქულა, რაც ქულების მაქსიმალური რაოდენობის 85,50%-ია.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

2021 წლის 17 ივნისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლის პირველ ვაკანსიაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, რომელშიც მონაწილეობა საბჭოს 12-მა წევრმა მიიღო, ნათია ბარბაქაძემ მოიპოვა 11 ხმა.

აღნიშნულ ვაკანსიაზე ბიულეტენში შეყვანილ იქნა 16 კანდიდატი, მათგან 12 მოქმედი მოსამართლე (4 - სააპელაციო ინსტანციიდან, 8 - პირველი ინსტანციიდან), 3 ყოფილი მოსამართლე და 1 იუსტიციის უმაღლესი სკოლის ყოფილი მსმენელი, კერძოდ:

1. ბარბაქაძე ნათია - 11 ხმა
2. ბიჭია შოთა - 0 ხმა
3. გიორგაშვილი სანდრო - 0 ხმა
4. გოცირიძე კობა - 0 ხმა
5. გრატიაშვილი გიორგი - 0 ხმა
6. გურული მალხაზ - 0 ხმა
7. კალატოზიშვილი არსენ - 0 ხმა
8. კახეთელიძე გერონტი - 0 ხმა
9. ლობჟანიძე გიორგი - 0 ხმა
10. ლომთათიძე მზია - 0 ხმა
11. მაისურაძე მადონა - 0 ხმა
12. მაჭავარიანი კახაბერ - 0 ხმა
13. ნარიმანიშვილი დავით - 0 ხმა
14. ნაჭყებია ნინო - 0 ხმა
15. ტყეშელაშვილი რომეო - 0 ხმა
16. ფორჩხიძე ვიოლეტა - 0 ხმა.

1 ბიულეტენი გაბათილდა.

<u>დასკვნა:</u>

კანდიდატ ნათია ბარბაქაძის კეთილსინდისიერების (საბჭოს 11-მა წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს) და კომპეტენტურობის (სამართლებრივი დასაბუთების უნარის, სამართლებრივი ნორმების ცოდნის, წერის უნარის) კრიტერიუმების გათვალისწინებით, კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, სხვა კანდიდატებთან შედარებით უპირატესობა მიენიჭა და შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე განწესდა ნათია ბარბაქაძე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი